

ექსპორტის გზამკვლევი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

REAP

ხელი ბალახოვანი
სანელებლები
ეპროვის ბაზარზე



CBI-ის ბაზრის საინფორმაციო პორტალი

CBI (განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრი) წარმოადგენს ნიდერლანდების სამეწარმეო სააგენტოს ნაწილს. CBI-ის ბაზრის საინფორმაციო პორტალზე განთავსებული მასალა დიდი გულისყურით შემუშავდა, თუმცა CBI და პუბლიკაციების ავტორები არ არიან პასუხისმგებელი პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენების შედეგებზე. პორტალზე განთავსებულ ინფორმაციას არა აქვს იურიდიული ძალა. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაგეყრდნოთ შესაბამის წყარო-დოკუმენტებს. მოწოდებული ინფორმაცია მკითხველს არ ათავისუფლებს შესაბამისი საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან/და სამართლებრივი მოთხოვნების და მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინების ვალდებულებისგან. ბაზრის საინფორმაციო პორტალის მიზანია CBI-ის სამიზნე ჯგუფის - განვითარებადი ქვეყნებში ექსპორტირებისა და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (BSO) - დახმარება. ცენტრი ინფორმაციას აქვეყნებს არაკომერციული მიზნით.

USAID/REAP პროექტმა, CBI-სთან შეთანხმებით თარგმნა ექსპორტის გზამკვლევების წინამდებარე სერია ქართულ ენაზე და მოახდინა მათი ადაპტირება საქართველოს რეალობასთან. (თაფლის ექსპორტის გზამკვლევი მომზადებულია USAID/REAP პროექტის მიერ).

ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

სერიაში შედის 9 გზამკვლევი, რომლებიც მიმოიხილავს ქვემოთაღმოვლილ პროდუქციას ევროპის ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობის კუთხით:

- ▶ **კენკრა**
- ▶ **ჩაი**
- ▶ **ცოცხალი მშვანილი**
- ▶ **გაყინული ხილი და ბოსტნეული**
- ▶ **ხველი ბალახოვანი სანაღებლები**
- ▶ **სტავია**
- ▶ **დაუჟმავებელი და დაფუჭი სანაღებლები და გაშხარი მშვანილი**
- ▶ **თაფლი**
- ▶ **თხილი და ჩირი**

შესავალი

ევროკავშირის ქვეყნებში უმეტესწილად იმ სანელებელ მცენარეებს მოიხმარენ, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება ამ ქვეყნების ნაციონალურ სამზარეულოში. აღნიშნული პროდუქცია ადგილობრივად მოჰყავთ, და აქედან გამომდინარე, ევროკავშირის მწარმოებელი კომპანიები უცხოელი სანელებლების იმპორტიორთათვის მძლავრ კონკურენტებს წარმოადგენენ. მიუხედავად ამ გარემოებისა, ევროკავშირისგან გეოგრაფიული თვალსაზრისით მოშორებით მდებარე განვითარებადი ქვეყნები, როგორცაა მაგალითად, პერუ და კენია, ცდილობენ ამ ბაზარზე ფეხის მოკიდებას, თუმცადა, მათი საბაზრო წილი ჯერჯერობით საკმაოდ მცირე და არასტაბილურია. ასევე, ევროკავშირის ბაზარი გარკვეულ პერსპექტივას უქმნის ეგზოტიკური სანელებელი მცენარეების იმპორტიორებს. მცენარეული ჩაის მზარდი პოპულარობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბაზრის განვითარებას. განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვთ იმ მიმწოდებლებს, რომელთაც წარმოებაში დანერგილი აქვთ მდგრადი განვითარების კომპლექსური სტრატეგია.

პროდუქციის აღწერილობა

წინამდებარე გამკვლევის მთავარ თემას სანელებელი მცენარეები წარმოადგენს. სანელებელი მცენარე, ჩვეულებრივ, მცენარის ფოთლოვან მწვანე ნაწილს გულისხმობს. ბოსტნეულისგან განსხვავებით, სანელებელი ბალახები მცირე ოდენობით გამოიყენება და კერძს განსაკუთრებულ არომატსა და გემურ თვისებებს ანიჭებს, თუმცა არ შედის კერძის ძირითად შემადგენლობაში.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ეფუძნება კომბინირებული ნომენკლატურის (CN) კოდებს. კომბინირებული ნომენკლატურა (CN) პროდუქციის კლასიფიკაციისთვის იყენებს კოდების ჰარმონიზირებულ სისტემას (HS). HS კოდებით აღნიშნულია მხოლოდ ორი სანელებელი მცენარე: ბეგქონდარა და დაფნის ფოთოლი. აქედან გამომდინარე, „ვაჭრობის და მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების“ თავი ეხება მხოლოდ აღნიშნულ ორ პროდუქტს. სხვა თავებში კი ინფორმაცია სხვა სანელებელი მცენარეების შესახებაც არის წარმოდგენილი.

HS Code	აღწერილობა
09109931	ველური ბეგქონდარა, არა დაქუცმაცებული და არა დაფქული
09109933	სხვა ბეგქონდარა, არა დაქუცმაცებული და არა დაფქული
09104019	დაქუცმაცებული ან დაფქული ბეგქონდარა
09109950	დაფნის ფოთოლი

პროდუქციის მახასიათებლები

ხარისხი

პროდუქციის ხარისხი წარმოადგენს მთავარ მახასიათებელს ევროკავშირის ქვეყნების მყიდველთათვის და ხარისხთან ერთად გულისხმობს სურსათის უვნებლობასაც. ევროპის სანელებლების ასოციაციამ (European Spice Association, ESA) გაერთიანებული მინიმალური ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი (Quality Minima Document), რომლითაც ხელმძღვანელობენ ევროპის სანელებელთა ასოციაციაში გაერთიანებული ადგილობრივი ასოციაციები და ევროკავშირის წამყვანი ინსტიტუტები. მასში თავმოყრილია როგორც ევროკავშირის ძირითადი სამართლებრივი მოთხოვნები თითოეული ბალახეული სანელებლის სახეობის მიხედვით, აგრეთვე მომხმარებლის დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც არაა განსაზღვრული სამართლებრივი ნორმებით.

ბალახეული სანელებლების შეფასება ხდება იმ ეროვნული სტანდარტების მიხედვით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ქვეყნის წარმოების ან მოხმარების სფეროებში. გარდა ამისა, ISO სტანდარტები იძლევა ზოგად მითითებებს სხვადასხვა სანელებლის (მათ შორის დაფნის ფოთლის, ფენუგრიკის, ორეგანოს, ქონდარის, მაიორანის, და რეჰანის) შეფასების, გადამუშავების და შეფუთვის შესახებ.

ეტიკეტირება

არასწორი ეტიკეტირება ევროპულ მომხმარებელთათვის იმედგაცრუების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საჭიროა დარწმუნდეთ, რომ სწორად ახდენთ თქვენი პროდუქციის მარკირებას. მომხმარებელთა მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება შეფუთვას, წარმოდგენილია CBI-ს გზამკვლევის ნაწილში: სანელებლებისა და მცენარეული პროდუქციის შეფუთვა ევროკავშირში (Consumer Packed Spices and Herbs in the EU). საბითუმო პროდუქციის შემთხვევაში, შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ▶ პროდუქციის დასახელება
- ▶ ინფორმაცია მწარმოებლის შესახებ (სახელი და მისამართი)
- ▶ სერიის ნომერი
- ▶ გამოშვების თარიღი
- ▶ პროდუქციის ხარისხობრივი ჯგუფი
- ▶ მწარმოებელი ქვეყანა
- ▶ მოსავლის აღების თარიღი (თვე, წელი)
- ▶ ნეტო წონა
- ▶ ყველა სახის დამატებითი ინფორმაცია, რაც შეიძლება იქნას მოთხოვნილი ექსპორტიორი და/ან იმპორტიორი ქვეყნის მიერ: ბარ კოდი, მწარმოებელი ან/და შემფუთავი ორგანიზაციის კოდი, ყველა სახის ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოშობის მიკვლევადობას.

PACKAGE NUMBER: BL00000383



NET WT

447.11 LB

202.80 KG



NET WT - LB

GROSS WT

567.5 LB

257.41 KG


DATE

11/16/2009

შეფუთვა

ბალახეულ სანელებლებს, რომლებიც არ არის წარმოდგენილი დაქუცმაცებული ან დაფქული სახით, ჩვეულებრივ, აფასობენ ახალ, სუფთა და მშრალ პარკში/ჩანთაში, რომელიც მზადდება პოლიეთილენით ან პოლიფროფილენით დაფარული ჯუთისგან ან მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისგან; დაქუცმაცებული ან დაფქული ბალახეული შესაძლოა დაფასოდეს თუნუქის, შუშის ან საკვებისთვის განკუთვნილ ლამინირებულ, ექსტრუდირებულ, ლითონით დაფარულ პლასტმასის მრავალშრიან ახალ, სუფთა, გამძლე და მშრალ კონტეინერში. კონტეინერს არ უნდა ჰქონდეს სუნი და დაცული უნდა იყოს მწერებისგან, სოკოვანი ბაქტერიებისა და ისეთი ნივთიერებებისგან, რომლებსაც შეუძლიათ შიგთავსის დაზიანება.

მყიდველის მოთხოვნები



სამომხმარებლო საქონლის მარკირება/
დანაბათიანი & ფალსიფიცირება/დასხივება/
დაბინძურება/ სურსათის უვნებლობა & კონტროლი

როგორ საპარტლეროვ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ხაველი საწარმოებელი?

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ევროკავშირის მონაში იმპორტირების პირველივე წუთიდან თქვენი პროდუქცია შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის სამართლებრივ მოთხოვნებთან და რეგულაციებთან. შესაბამისად, მხოლოდ მაშინ დაგეგმეთ საქონლის გატანა ევროკავშირის ბაზარზე, როდესაც თქვენი პროდუქცია სრულ შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის ბაზრის ყველა ძირითად მოთხოვნასთან.

სურსათის უვნებლობა: მიკვლევადობა, ჰიგიენა და კონტროლი

სურსათის უვნებლობა ევროკავშირში მოქმედი, საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებული რეგულაციების უმთავრესი ნაწილია. სურსათის შესახებ ზოგადი კანონი (General Food Law) წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩო-რეგულაციას ევროკავშირის ქვეყნებში სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად. იმისათვის, რომ დაცული იყოს სურსათის უვნებლობის სტანდარტები, და შესაძლებელი გახდეს ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის იდენტიფიცირება და შეუსაბამოების წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარება, საკვები პროდუქტი მიკვლევადაი უნდა იყოს წარმოების მთლიანი ჯაჭვის ყველა რგოლზე და დაბინძურების რისკი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. სურსათის უვნებლობის კონტროლის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მართვის პრინციპების დანერგვა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) საფუძველზე. მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია კონტროლის მექანიზმის დანერგვა, რაც ითვალისწინებს მიმწოდებლის პროდუქციის შესაძლო შემოწმებას ოფიციალური მარეგულირებელი ორგანიზაციის მიერ. ევროკავშირის ბაზარზე აიკრძალება იმ პროდუქციის შეტანა, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის კრიტერიუმებს და ჯანმრთელობისთვის სახიფათოდ იქნება მიჩნეული. მაგალითად, ვიეტნამიდან იმპორტირებული ცოცხალი ბალახეულის ნაწილი, მათ შორის პიტნა, რეჰანი, ოხრახუში და ქინძი შეტანილი იქნა სპეციალურ სიაში და დღის წესრიგში იდგა მათ წინააღმდეგ ოფიციალური კონტროლის გამკაცრების საჭიროება. მთავარი პრობლემა ამ შემთხვევაში არის პროდუქციის შემადგენლობაში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები დონის გადაჭარბება. აღნიშნული პრობლემა წარმოიშობა მცენარის კულტივაციის დროს და საჭიროებს წარმოების საწყის ეტაპზე ქმედითი ღონისძიებების გატარებას მწარმოებლის მხრიდან.

რეკომენდაცია:

ევროკავშირის მომხმარებელი ხშირად მოითხოვს დაინერგოს HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა. (იხილეთ ზოგადი მოთხოვნები)

შემომნეთ, ვრცელდება თუ არა თქვენს პროდუქციაზე კონტროლის გამკაცრებული მოთხოვნები. არსებობს ნუსხა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის ბაზარზე წარმოდგენილ მცენარეულ პროდუქციასა და ბალახეულ საწარმოებს და მათ იმპორტიორ ქვეყნებს. აღნიშნული ნუსხის განახლება ხდება რეგულარულად და მისი უახლესი ვერსია ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის ვებგვერდზე (დოკუმენტის საბოლოო ვერსია იხილეთ „შესწორებები“-ს ნაწილში)

გაიგეთ მეტი ევროკავშირის მონაში ჯანდაცვასთან დაკავშირებული კონტროლის შესახებ (health control) ვებ-გვერდზე EU Export Helpdesk (ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირების საინფორმაციო პორტალი).

საწარმოების დაბინძურება

დამბინძურებლები (კონტამინანტები) ის ნივთიერებებია, რომლებიც შესაძლებელია გაჩნდეს პროდუქციის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე (მოყვანა, გადამამუშავება, შეფუთვა, ტრანსპორტირება და შენახვა).

კესტიციდები

ევროკავშირის ქვეყნებში დადგენილი საკვებ პროდუქტში და მის ზედაპირზე პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის (ნმდ) მაჩვენებლები. ევროკავშირის ბაზარზე აიკრძალება იმ პროდუქტის შეტანა, რომლის შემადგენლობაში აღმოჩენილი იქნება დასაშვებ ნორმაზე მეტი რაოდენობის პესტიციდი. პესტიციდების გამოყენება მნიშვნელოვანი საკითხია ბალახეული სანელებლების და მცენარეული პროდუქციის მწარმოებლებისთვის. ევროკავშირის კანონმდებლობა პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებულ შემლუღებს აწესებს მხოლოდ ცოცხალი მწვანის იმპორტიორებისთვის. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის სანელებელთა ასოციაციამ შეიმუშავა პესტიციდების დეჰიდრაციის ზღვრები გადამუშავებული ბალახეულისთვის და ამასთანავე, ორგანიზაცია რეკომენდაციას უწევს თავის წევრებს, ზედმინევით მუსტად დაიცვან დადგენილი ზღვრები.

შესწორება ევროკავშირის 396/2005 რეგლამენტში ძალაში შევიდა 2015 წლის 18 მაისს. მასში მოცემულია სანელებლებსა და სურნელოვან ბალახეულში გამოვლენილი სპეციფიკური პესტიციდების განახლებული ლიმიტები და ანთრაკვინონის (AQ) შემცველობის ნორმები. ჩვეულებრივ, ანთრაკვინონი პესტიციდის სახით არ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, თუმცა, ცეცხლზე ხელოვნური შრობის შედეგად, მისი ნარჩენები შესაძლოა შეგვხვდეს ბალახეულ პროდუქტში. კვამლში არსებული ანთრაკვინონი შეიძლება მოხვდეს პროდუქტში, თუ არ იქნა მიღებული წინასწარი დაცვითი ზომები.

რეკომენდაცია:

შეგიძლიათ ისარგებლოთ ევროკავშირის მონაცემთა ბაზით, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალურ დასაშვებ დონეზე თითოეული სახეობის პროდუქტის მიხედვით, და აგრეთვე, ყველაწიერი შემლუღების შესახებ.

ხელი შეუწყეთ თქვენს პარტნიორ ფერმერებს, რათა მათ დაწერონ მავნებლების ინტეგრირებული მენეჯმენტის სისტემა, რაც შეამცირებს პესტიციდების დონეს თქვენს პროდუქტში. უფრო დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინდოეთის სანელებლების საბჭოს (Indian Spice Board) ვებ-გვერდზე.

ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ დანვრის დეტალი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე EU Export Helpdesk (ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირების საინფორმაციო პორტალი)

სალმონელა

ევროკავშირის საბაჟო ორგანოების მიერ ბალახეულის იმპორტის აკრძალვის ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზია პროდუქტში სალმონელას აღმოჩენა. ბალახეულის შემთხვევაში არ არსებობს სპეციფიკური მოთხოვნები სალმონელასთან დაკავშირებით. თუმცა, სურსათის შესახებ საერთო კანონის მე-11 მუხლში მკაფიოდაა აღნიშნული, რომ ევროკავშირის ბაზარზე წარმოდგენილი ყველა პროდუქტი უნდა იყოს ჭანსალი და არ შეიცავდეს ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს. შესაბამისად, სალმონელას ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ევროკავშირის ბაზარზე ხდება აღნიშნული ბალახეული სანელებლების და სხვა მცენარეული პროდუქციის აკრძალვა. ევროკავშირის რეგულაციებს შორის განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება სალმონელას და სხვა მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლის ორთქლით სტერილიზაციის მეთოდს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბალახეული სანელებლები განკუთვნილია საცალო ბაზრისთვის. ეს მეთოდი მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ევროკავშირის მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს ორთქლით სტერილიზაციით დამუშავებულ პროდუქტს.

რეკომენდაცია:

დანერგეთ გაუმჯობესებული გადამუშავების და დასაწყობების პრაქტიკა და განიხილეთ ეს საკითხი სხვა მიმწოდებლებთან. მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეიკავს EUROPAM-ის სახელმძღვანელო, კულტურული სამკურნალო და სურნელოვანი მცენარეების კულტივაციის და ველური მცენარეების მეგროვების პრაქტიკის შესახებ, (Guidelines for Good Agricultural and Wild Collection Practices for Medicinal and Aromatic Plants და IOSTA-ს პუბლიკაცია GAP Spices (კარგი პრაქტიკის გამოყენებით კულტივირებული სურნელოვანი მცენარეები)

სალმონელა შეიძლება გამოვლინდეს პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე ნედლეულის მოყვანის, მოსავლის მიღების, გადამუშავების, შენახვის, შეფუთვისა და გაყიდვის ჩათვლით. წარმოებისა და ჰიგიენის მონივნავე პრაქტიკისა და პროდუქტის უვნებლობის მართვის პრინციპების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის, მოსავლის აღებისა და დამუშავებისას.

ორთქლით დამუშავება შედარებით ძვირია, თუმცა აღნიშნული ხარჯი მეტი მოვების მიღების წინაპირობაა. შესაძლებელია თანამშრომლობა ადგილობრივ სანდო კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს ორთქლით დამუშავების მომსახურებას.

ევროკავშირის იმპორტიორები, ჩვეულებრივ, ითხოვენ მიკრობიოლოგიური შემოწმების დამატარებულ ცნობას. ასეთი ცნობის მოპოვება უადვილებს განვითარებადი ქვეყნების მწარმოებლებს ევროპელ მყიდველებთან მოლაპარაკებას.

დიოქსინაზი

დიოქსინებთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები მოცემულია ევროკავშირის No. 1881/2006 რეგულაციაში. ამ დროისთვის არ არის დაწესებული სამართლებრივი შემლუღვები გამომშრალი ბალახეულისთვის, თუმცა ევროკავშირი აქვეყნებს ევროკომისიის რეკომენდაციებს 2013/711/EU, რომლის მიხედვით, ხმელ ბალახეულ პროდუქტებში დიოქსინის დონე არ უნდა აღემატებოდეს 0,5 პგ/გრამს + ფურანები და 0 35 პგ/გრამს დიოქსინების მსგავსი პოლიქლორირებული ბიფენილების შემთხვევაში. რეკომენდაციებს, რეგულაციების, ბრძანებებისა და დადგენილებებისაგან განსხვავებით, არა აქვთ სამართლებრივი ძალა. რეკომენდაციები წარმოადგენს ქმედებებისკენ მიმართულ არაპირდაპირ ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს მომზადდეს ნიადაგი წევრ ქვეყნებში სამართლებრივი რეგულაციების შემოღებისთვის.

საკვები დანამატები და ფალსიფიკაცია

ხშირად, საბაჟოზე იწუნებენ ისეთ პროდუქტს, რომელშიც გამოვლენილია დამატებითი ნივთიერებები, რომელთა შემცველობა არ არის ნებადართული და/ან დეკლარირებული, ან რომლის შემადგენლობაში არსებული უცხო ნივთიერებები აჭარბებს დაშვებულ ზღვარს. არსებობს ევროკავშირის სპეციფიკური რეგულაცია დანამატებთან (მაგ., საღებავებთან, შემასქელებლებთან) და არომატიზატორებთან დაკავშირებით, რომელშიც ასევე მითითებულია დაშვებული E კოდები და ნივთიერებები. ცალკეულ და კომბინირებულ ბალახეულში დაუშვებელია საღებავი დანამატების არსებობა. ძირითად შემთხვევებში, ევროკავშირის საბაჟო ორგანოების მიერ ხდება იმ მიქსტურების ჩამორთმევა, რომელიც შეიცავს ფალსიფიცირებულ ხელოვნურ საღებავ დანამატებს - აზო-საღებავები, სუდან I, ტარტრაინი, კარაქისებრი ყვითელი (azo-dyes Sudan I, tartrazine, butter yellow). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანამატების გამოყენება შესაძლოა ნებადართული იყოს პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში, ევროკავშირის ზონის მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ამ პროდუქტებზე გავრცელებულია სპეციფიკური აკრძალვები.

საერთაშორისო ბაზარზე ხშირად ხვდება ფალსიფიცირებული დაქუცმაცებული და დაფუჭილი სანელებლები (მაგ., შედარებით იაფფასიანი პროდუქტები, მათი სინთეზური სუროგატები, მარილისა და ტალკის დანამატები და ა.შ.). ბალახეულის მწარმოებელ ქვეყნებში ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია. მაგალითად, ინდოეთში რეალიზებული სურსათის 30-40% განზრახ ფალსიფიცირებულია. ფალსიფიკაციის მთავარი მიზეზი ეკონომიკური სარგებლის მიღებაა (რაც კანონის დარღვევის ტოლფასი არაკეთილსინდისიერი ქმედებაა). არსებობს უნებ-

ლიე ფალსიფიცირების შემთხვევებიც. მაგალითად, სასუქის დაღვრის შედეგად. პროდუქტის შემცველობაში ასევე შეიძლება გამოვლინდეს მწერები. ევროკავშირის ქვეყნების იმპორტიორები და მომხმარებლები დიდ ყურადღებას აქცევენ სურსათის გაყალბების პრობლემას. წინამდებარე გაზაფხულის შემუშავების პროცესში, ინდუსტრიის ექსპერტების კომისიასთან კონსულტაციების შედეგად დადასტურდა, რომ ფალსიფიცირებული ბალახეულის გამოვლენის შემთხვევები საკმაოდ ხშირია. ევროკავშირმა და მისი წევრი ქვეყნების მთავრობებმა გაამკაცრეს სურსათის ფალსიფიკაციის რეგულაციები. 2015 წლის აპრილში პოლანდიის მთავრობამ გაზარდა ჯარიმა იმ პირებისთვის, რომლებსაც 45000-დან 810 000 ევრომდე ღირებულების სურსათის განზრახ გაყალბება დაუმტკიცდა.

რეკომენდაცია:

თუ თქვენ იყენებთ დანამატებს, დარწმუნდით, რომ მათი ევროკავშირის ბაზარზე შეტანა კანონმდებლობით არის ნებადართული და პროდუქტის მისაღები მყიდველისთვის, აუცილებლად მიუთითეთ დანამატები ინგრედიენტების სიაში.

თუ თქვენ გსურთ სანელებლებისა და მცენარეული პროდუქციის რეალიზაცია ანარმლოთ ევროკავშირის იმპორტიორებთან პარტნიორობით, უნდა გქონდეთ შესაბამისი გამოცდილება, გამჭვირვალედ მართოთ ბიზნესი და ყველა საჭირო ინფორმაცია მოთხოვნისამებრ მიანოდოთ ოფიციალურ ორგანოებს. იმდენად რამდენადაც, შეუძლებელია ყველა სახის უცხო დანამატის შემოწმება, ნებისმიერი ექვსი გაჩენისას ევროპელი მომხმარებელი უარს იტყვის განვითარებადი ქვეყნებიდან გადამუშავებული ბალახეულის შესყიდვაზე და სანდო მომწოდებელს მიმართავს. მტკიცებულების წარმოდგენა და დასაბუთება მომწოდებლების პასუხისმგებლობაა.

გაეცანით ფალსიფიკაციის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ევროკავშირის სანელებელთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს, რათა მიიღოთ დანერვილებითი ინფორმაცია ფალსიფიკაციის შესახებ.

ევროკავშირის ვებგვერდის საშუალებით შეგიძლიათ მიიღოთ დეტალური ინფორმაცია საკვები დანამატების, ფერმენტებისა და არომატიზატორების შესახებ.

დასხივება

ევროკავშირის ზონაში ბალახეული სანელებლების დასხივება აკრძალული არ არის. ამ გზით ნადგურდება მაგნე ორგანიზმები და ამასთანავე, ნაკლებად ზიანდება პროდუქტის გემოვნური თვისებები ორთქლით სტერილიზაციის მეთოდთან შედარებით. რადიაციის მაქსიმალური დასაშვები ზღვარია 10 kGy. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელი მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ პროდუქტებს, რომელთა დამუშავების პროცესში დასხივება არ გამოიყენება. შესაბამისად, მწარმოებლები ცდილობენ ნაკლებად მიმართონ ზემოთხსენებულ მეთოდს.

რეკომენდაცია:

გაითვალისწინეთ, რომ დასხივება უფრო ნაკლებად აზიანებს პროდუქტის გემურ თვისებებს, ვიდრე ორთქლით სტერილიზაცია. თუმცა, ევროკავშირის მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს ისეთ პროდუქტს, რომლის გადაამუშავების პროცესში დასხივება არ გამოიყენება. სხვა იმპორტიორ ქვეყნებში (მაგ., აშშ) ნაკლებად ენიშნა დამუშავების დასხივების პრაქტიკას. მიკრობიოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრის მიზნით ეთილენოქსიდის ფუმიგაცია აკრძალულია ევროკავშირში, თუმცა დაშვებულია აშშ-ში.

სამომხმარებლო საქონლის მარკირება:

წინასწარ დაფასოებული სამომხმარებლო საქონელი მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს შეფუთვის, პროდუქციის ნარდგენის და რეკლამირების თვალსაზრისით. 2014 წლის დეკემბერში ამოქმედდა N 1169/2011 რეგლამენტი, რომელმაც გააბათილა მანამდე არსებული შესაბამისი სამართლებრივი აქტები. ალერგენების შესახებ ახალი რეგულაციის თანახმად, შეფუთვაზე კიდევ უფრო მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, შეიცავს თუ არა მოცემული პროდუქტი ალერგენს. მცენარეები და ბალახეული პროდუქცია ან მათი ნაზავი შეიძლება შეიცავდეს დამატებით ნივთიერებას (მაგ., გლუტენს, მდოგვის ან სეზამის მარცვლებს, რძეს, თხილს - იხ. დანართი 3ა), რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. ამდენად, ამ პროდუქტის შეფუთვაზე მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ მის შემადგენლობაში შედის ალერგენები.

რეკომენდაცია:

დაფასოებული პროდუქტის მინოდებისას, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ სავალდებულოა მაღალპროფესიული დონის შეფუთვა. მჭიდროდ ითანამშრომლეთ ევროკავშირის იმპორტიორებთან, რათა უზრუნველყოთ თქვენი პროდუქციის შეფუთვის შესაბამისობა მათ მოთხოვნებთან.

თუ თქვენი პროდუქცია შეიცავს ალერგენებს, ამის შესახებ ყოველთვის მიაწოდეთ მუსტი ინფორმაცია მომხმარებელს იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ არ ხართ პასუხისმგებელი პროდუქტის საბოლოო სახით დაფასობაზე. რაც შეეხება საბითუმო საქონელს, ინგრედიენტები მითითებული უნდა იყოს ეტიკეტზე ან თანმდევ სავაჭრო დოკუმენტებში. სამომხმარებლო საქონლის მარკირების შესახებ ინფორმაცია იხილეთ EU Export Helpdesk-ზე (ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირების საინფორმაციო პორტალი).

სანელებლები და მცენარეული პროდუქცია, რომელიც არ შეიცავს ალერგენებს, სავაჭრო მიმზიდველ საბაზრო ნიშანს იკავებს. უკვე არსებობს რამდენიმე ასეთი მიმზიდველი: მაგ., Dutch Spices და EHL Ingredients, რომლებიც მაღალი საბაზრო აქტივობით გამოირჩევიან. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ პროდუქციაში ალერგენების შემცველობა, იხილეთ პოლანდიური გადამამუშავებელი კომპანიის „ვერსტეგენის“ ვებგვერდზე მითითებული სარეკომენდაციო პროცედურები.

სამომხმარებლო საქონლის მარკირების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ EU Export Helpdesk-ზე (ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირების საინფორმაციო პორტალი)

CITES (კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“)

მოგიერთი ბალახეული პროდუქცია შესულია სახიფათო ხმელ სანელებელთა ნუსხაში. თქვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ გადამუშავებული პროდუქციის ექსპორტზე გატანას, თუ ის შედის CITES-ის (კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“) ნუსხაში. ამ შემთხვევაში აუცილებელია მიიღოთ CITES-ის ნებართვა პროდუქციის იმპორტზე. შეზღუდვები უმეტესად ეხება სამკურნალო ბალახეულს.

რეკომენდაცია:

იმისთვის, რომ შეამოწმოთ თქვენს მიერ ბაზრისთვის მიწოდებული ხმელი საწებლები და მცენარეული პროდუქცია შედის თუ არა CITES-ის ნუსხაში, იხილეთ CITES-ის რეგულაციების დანართები A, B და C. დანართებში ინფორმაცია შესაძლებელია მიიღოთ EU Export Helpdesk-ზე (ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირების საინფორმაციო პორტალი), თავში CITES – Endangered Species Protection (გადამენების პირას მყოფი სახეობების დაცვა)

რა დაგადავითი მოთხოვნები აქვთ იმპორტიორებს?

სურსათის უვნებლობის მართვა და მიკვლევა

იქიდან გამომდინარე, რომ სურსათის უვნებლობა წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში, იმპორტიორებმა შეიძლება მოითხოვონ დამატებითი სერტიფიკატები, რომლითაც დასტურდება თქვენი პროდუქციის შესაბამისობა სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან. ევროკავშირის ბევრი იმპორტიორისთვის (სავაჭრო კომპანიები, სურსათის გადამამუშავებელი საწარმოები, საცალო ქსელები) შეიძლება გადამწყვეტი ფაქტორი იყოს მიმწოდებლის მიერ წარმოებაში დანერგილი სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის შესაბამისობა HACCP-ის პრინციპებთან. ევროკავშირში სურსათის უვნებლობის მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული სისტემებია BRC, IFS, FSSC 22000 და SQF. ყველა ჩამოთვლილი სისტემა აღიარებულია GFSI - ის (Global Food Safety Initiative - სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივა) მიერ, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს სისტემები მისაღები და ავტორიტეტულია მსხვილი საცალო ქსელებისთვის.



რეკომენდაცია:

ევროკავშირის ბაზარზე ორიენტირება დიდწილად გულისხმობს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვის აუცილებლობას. ამდენად, გირჩევთ, კარგად გაეცნოთ აღნიშნულ სისტემებს.

სხვადასხვა მყიდველს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მოთხოვნა სურსათის უვნებლობის მართვის სისტემასთან დაკავშირებით. შეამოწმეთ, რომელი მათგანი რომელ სისტემას ანიჭებს უპირატესობას (მაგ., დიდი ბრიტანეთის საცალო ქსელები ძირითადად ითხოვენ BRC-ს, IFS კი, უფრო გავრცელებულია კონტინენტური ევროპის ქვეყნებში).

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის შესახებ მეტი ინფორმაცია იხ. პორტალზე Standards Map.

სოციალური პასუხისმგებლობა

ევროკავშირის ქვეყნების იმპორტიორები (განსაკუთრებით, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები) უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მათი კომერციული საქმიანობის სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ასპექტებს და კორპორაციულ პასუხისმგებლობას, და შესაბამისად, იმავე მოთხოვნებს უყენებენ მიმწოდებლებსაც. მცენარეებისა და ბალახეული პროდუქციის მიწოდებაში უმნიშვნელოვანესი საკითხებია: პესტიციდების სწორი გამოყენება, ნარჩენი წყლის გადამუშავება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება და ფერმერებთან კეთილსინდისიერი ფინანსური ანგარიშსწორება. ევროკავშირის კომპანიებს გააჩნიათ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) განსხვავებული ხედვა, განსხვავებული პოზიციები და ინტერესები. ამდენად, არ არსებობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხზე ერთიანი, უნივერსალური მიდგომა და შესაბამისი სტრატეგია. სწორი მიდგომა გულისხმობს ქვეყნის კოდექსის შემუშავებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება მომხმარებლის მთავარ მოთხოვნებთან, აგრეთვე სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გამოვლენას და მათ აღმოფხვრას წარმოების მთლიან ჯაჭვში.

რეკომენდაცია:

ევროკავშირის ბაზრით დაინტერესებული ექსპორტიორი, მინიმუმ, უნდა აკმაყოფილებდეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ძირითად მოთხოვნებს. ბევრი მყიდველისთვის ეს მაჩვენებელი უკვე მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმად იქცა. სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრისას გაითვალისწინეთ თქვენი წარმოების შემოქმედება სოციალურ და ბუნებრივ ვარემოზე, რა გზით შეგიძლიათ დაარეგულიროთ ეს შემოქმედება და რას ანიჭებენ ეროკავშირის იმპორტიორები უპირატესობას. გააკეთეთ CSR-ის მნიშვნელოვანი საკითხების და მათი შესაბამისი სტანდარტების (მაგ., ISO 26000) ნუსხა.

რა მოთხოვნები აქვთ ნიშურ ბაზრებს?

მდგრადი განვითარების სტანდარტებით წარმოებული პროდუქციის სერტიფიცირება

ბაზარზე უფრო და უფრო იზრდება ცნობადი ბრენდების სერტიფიცირებული პროდუქციის რაოდენობა. ორგანული პროდუქტების შემთხვევაში, სერტიფიცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნიადაგისა და მცენარის მოყვანისთვის საჭირო ნივთიერებების გამოყენების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან. სოციალური მოძრაობის „Fairtrade“ (სამართლიანი ვაჭრობა) მიზანია განვითარებად ქვეყნებში წვრილი მესაკუთრეების ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რაც ითვალისწინებს მათთვის პრემიების გადახდას. არასამთავრობო ორგანიზაციამ „Rainforest Alliance“, რომელიც ორიენტირებულია ზოგადად მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაზე, სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, ცოტა ხნის წინ შეიმუშავა სტანდარტი რამდენიმე ბალახეული საწარმისთვის. გადამამუშავებელ კომპანიებს და ექსპორტიორებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ სერტიფიცირების პროცესში და კოორდინირება გაუწიონ წვრილი მესაკუთრეების საქმიანობას. თუკი ისინი შეძლებენ სერტიფიცირებული მცენარეული პროდუქციისა და ბალახოვანი საწარმების მომწოდებლების მოზიდვას, თავადაც უნდა მოიპოვონ სერტიფიკატი, რათა ჩამოყალიბდეს მოწოდების საიმედო ქსელი. სავაჭრო კომპანიებისთვის არსებობს სპეციალური სერტიფიკატები, მაგალითად, „Fairtrade“-ის მიერ შემუშავებული სავაჭრო სტანდარტი /Trade Standard ან „Rainforest Alliance“-ის ზედამხედველობის ჯაჭვის სტანდარტი /Chain of Custody standard.



რეკომენდაცია:

იმისათვის, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ან თქვენს ქვეყანაში მოიძიოთ ხმელი ბალახოვანი საწარმების მომწოდებელი, (რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ Organic Bio სტანდარტებთან შესაბამისობით), გამოიყენეთ „Fairtrade“-ის მონაცემთა ბაზა, სადაც თავმოყრილია მონაცემები ყველა სერტიფიცირებული მომწოდებლის შესახებ. ფასების ნუსხაში ნახავთ, რა თანხის გადახდა მოგიწევთ ფერმერებისთვის.

იხ. ITC-ის საწარმების მდგრადი განვითარების სტანდარტებით წარმოების ინიციატივის ექვივალენტობის პროგრამა (ITC's Sustainable Spice Initiative Equivalency Tool), რომელშიც მოცემულია მდგრადი განვითარების სტანდარტების განმარტება და აღწერილია განსხვავება სხვადასხვა სტანდარტს შორის.


ვერიფიკაცია

პროდუქციის სერტიფიცირების ალტერნატივას წარმოადგენს თვითმომწოდებლის პრაქტიკა. მომწოდებლებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ გარკვეული ინსტრუქციით და თავად შეაფასონ საკუთარი საქმიანობის შესაბამისობა მდგრადი განვითარების კოდექსთან. ამ მხრივ, მომწოდებლებს მოუწევთ გარკვეული ხარჯის განევა, თუმცა ამით თავიდან აიცილებენ ძვირადღირებულ აუდიტს. საჯაროდ ხელმისაწვდომი თვითშეფასების სისტემის მაგალითია „Unilever“-ის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კოდექსი/Sustainable Agricultural Code (SAC). ბოლო წლებში თვითშეფასების პრაქტიკა გახშირდა. ზემოთმითითებული თვითშეფასების სისტემები შესაძლოა იქცეს დარგში აღიარებულ სტანდარტად, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მომწოდებლისთვის.

ვაჭრობის და სხვა პაკროეკონომიკური სტატიისტიკა

იპორტი

დიაგრამა 1. დაფნის იპორტი ევროკავშირის ქვეყნებში, 2010-2014 წლები




მნიშვნელოვანი ფაქტები

ხმელი ბალახოვანი სანელებლების ბაზარი შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად: 1) მცენარეები, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნების ნაციონალურ სამზარეულოებში და 2) მცენარეები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ევროპული კერძებისთვის, მათ შორის (სუბ)ტროპიკული მცენარეები. ზემოთაღნიშნული პირველი კატეგორია დიდი მასშტაბით იწარმოება თავად ევროკავშირის ქვეყნებში (იხილეთ პროდუქცია), თუმცა დამატებით ხდება მათი იმპორტიც ადგილობრივ ბაზარზე არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილების მიზნით. 2014 წელს ევროკავშირში განხორციელდა 7,8 ათასი ტონა ბეგქონდარას და დაფნის ფოთლის იმპორტი, რომლის საერთო ღირებულებამ 33 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

რეკომენდაცია:

ბაზრის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ევროკავშირის ბაზარზე აღნიშნულ სექტორში ფუნქციონირებადი მწარმოებლებისგან. სტატისტიკური მონაცემების შესავროვებლად შეგიძლიათ ეწვიოთ ევროკომისიის სტატისტიკური სამსახურის ვებ-გვერდს: Eurostat.

დიაგრამა 2: ბეგქონდარას იპორტი ევროკავშირში, 2010-2014 წლები



ევროკავშირის ქვეყნების ბუნებრივი გარემოსათვის არადადამახასიათებელი ბალახეული, როგორცაა მაგალითად ტროპიკული მცენარეები (ლიმონის ბალახი, კაფირის ცაცხვის ფოთლები, ქინძის ფოთლები და ამიური რეჰანი) შედარებით ნაკლებ კონკურენციას განიცდის ევროკავშირის მწარმოებლების მხრიდან. ტროპიკული ბალახეული კულტურები ძირითადად გამოიყენება ეთნიკური საკვების ბაზარზე, რომელიც უკანასკნელ წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. აღმოსავლური საკვები, რომელიც წარმოიქმნება ინდურ, ჩინურ და ინდონეზიურ სამზარეულოში, ევროპის ბაზარზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. თუმცა, ევროპელი მომხმარებელი უკანასკნელ პერიოდში აქტიურად ეძებს ახალი, ეგზოტიკური გემოს მქონე კერძებს, რაც დამატებით შესაძლებლობას ხსნის აფრიკის, ლათინური ამერიკისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის.

მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, მოთხოვნის დონე არ შემცირებულა როგორც ევროკავშირის ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ბალახოვან სანელებლებზე, ისე ტროპიკულ მცენარეებზე. ეს ტენდენცია ნაჩვენებია პირველ და მე-2 დიაგრამებზე, ბეგქონდარასა და დაფნის ფოთლის იმპორტის მაგალითზე. გარდა ამისა, ბალახოვან სანელებლებსა და მწვანილზე მოთხოვნა დიდწილად არაელასტიურია ფასების ცვლილების მიმართ. საბოლოო ჯამში, ბალახეული მცენარეები საკვების მნიშვნელოვან ინგრედიენტს წარმოადგენს, თუმცა საკვებში გამოიყენება მცირე დოზით, და მათი ფასის წილი საკმაოდ დაბალია მზა საკვების მთლიან ღირებულებაში.


ევროკავშირის ბაზრისთვის დამახასიათებელი მცენარეები ძირითადად ზომიერი კლიმატის პირობებში იზრდება. აქედან გამომდინარე, იმპორტის დიდი ნაწილი მოდის იმ ქვეყნებზე, რომელიც ევროკავშირის მსგავსი კლიმატური პირობებით ხასიათდება. ბეგქონდარას მთლიანი იმპორტის 69% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, 27% კი - განვითარებად ქვეყნებზე, მათგან დაახლოებით 24% მოდის თურქეთზე, მაროკოსა და ალბანეთზე. დაფნის 77% ევროკავშირის ბაზარზე შემოდის განვითარებადი ქვეყნებიდან, აქედან თითქმის 72% მოდის თურქეთზე.

რეკომენდაცია:

ევროკავშირში ეთნიკური სამზარეულოს ინდუსტრიის კომპანიებისთვის იმართება სპეციალური სავაჭრო გამოფენები. Ethnic Food Europe ამის კარგი მაგალითია. გამოფენაში მონაწილეთა სია, ჩვეულებრივ, მოიცავს ინდუსტრიის ნამყვან კომპანიებს. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ 2014 წელს გამოფენის ვიზიტორებისთვის (რომელთა უმრავლესობას ჰოლანდიელები შეადგენდნენ) განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა ტაილანდური, ჩინური და ინდონეზიური სამზარეულო.


გაეცანით შესაბამისი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ სტატიებს, ანგარიშებს და გაესაუბრეთ მყიდველებს, რათა შეაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ეთნიკური საკვების ბაზრის შესახებ.

დიაგრამა 3: დაფნის ფოთლის იმპორტი ევროკავშირში, მიხროდაბელი ქვეყნის მიხედვით, 2014 წელი



წყარო: ევროსტატი, 2015

დიაგრამა 4: ბეგქონდარას იმპორტი ევროკავშირში მიზნობრივი ქვეყნის მიხედვით, 2014 წელი



განიხილვის უაქტები

2010-2014 წლებში დაფნის ფოთლის იმპორტი განვითარებადი ქვეყნებიდან შემცირდა წლიური 0,9%-ით, მაშინ როდესაც მთლიანი იმპორტის მაჩვენებლის კლების საშუალო წლიური მაჩვენებელი იყო 2,1%. მცირე მენარმეების საბაზრო პოზიციები გამყარდა, თუმცა მათი პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი ძალზე მერყევა წლის განმავლობაში და მათ ბაზრის ჯერ კიდევ საკმაოდ მცირე წილი უკავიათ.

ბეგქონდარას იმპორტი 2014 წელს ორი ნაწილისგან შედგებოდა: ველური ბეგქონდარა (14%) და სხვა, კულინარიული დანიშნულების ბეგქონდარა (86%). 2010-2014 წლებში განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტი იზრდებოდა წლიური 1,1%-ით, რაც შედარებით ნაკლებია მთლიანი იმპორტის ზრდასთან მიმართებით (5,7%). ანალოგიურად, მცირე მასშტაბის მწარმოებლების შემთხვევაში, ექსპორტის ყოველწლიური მაჩვენებლები საკმაოდ მერყევი ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2013 წელს პერუმ ევროკავშირის ბაზარზე მოახდინა 15 ტონა დაფნის ფოთლისა და ბეგქონდარას ექსპორტი, ხოლო 2014 წელს - მხოლოდ 0,5 ტონის. მცირე მიმწოდებლებს, რომლებიც ევროკავშირისგან გეოგრაფიულად შორს მდებარეობენ, შედარებით უმნიშვნელო წვლილი შეაქვთ ევროკავშირის იმპორტში. მიუხედავად ამისა, ისინი ცდილობენ გაამყარონ პოზიცია ბაზარზე, რამდენადაც ხვდებიან ძლიერ კონკურენციას ევროკავშირთან ახლოს მდებარე ქვეყნების მხრიდან.

ტროპიკული მცენარეების იმპორტს ძირითადად ახდენენ ის ქვეყნები, სადაც მრავალეთნიკური მოსახლეობაა და შესაბამისად, ეთნიკური საკვები განსაკუთრებული პოპულარობით სარ-

გებლობს. ეს ძირითადად ეხება დიდ ბრიტანეთს (ინდური, პაკისტანური სამზარეულო), და გერმანიას (ტაილანდური სამზარეულო). ამ მიმართულებით ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც არსებობს გარკვეული პოტენციური ეთნიკური საკვების მწარმოებელი კომპანიებისთვის (ჩრდილოეთ და სუბ-საჰარული აფრიკის სამზარეულო საფრანგეთში), თუმცა მათი ვაჭრობის მოცულობა საკმაოდ მცირეა. ეთნიკური საკვების ბაზარი შედგება ცალკეული საგაჭრო არხებისგან. საბითუმო და საცალო მოვაჭრეები მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებას პირდაპირ წარმოშობის ქვეყნიდან ახდენენ.

რეკომენდაცია:

ეთნიკური სამზარეულოს ინგრედიენტების და პროდუქციის სავაჭრო არხები მნიშვნელოვან მიზნობრივ ბაზარს წარმოადგენს. არსებობს სპეციალური მონაცემთა ბაზები, მაგალითად აზიური სავაჭრო არხები (ჰოლანდია და ბელგია) (Asian (Netherlands and Belgium)) ან აფრიკის საცალო და საბითუმო მოვაჭრეების ბაზა (მთელი მსოფლიოს მასშტაბით) (African retailers and wholesalers (World), ინტერნეტის საშუალებით მოიძიეთ სხვა მონაცემთა ბაზები ან დაუკავშირდით ინდივიდუალურ კომპანიებს.

ეს ბაზარი სწრაფი განვითარებით ხასიათდება, აქედან გამომდინარე, მიმწოდებლებს შეუძლიათ გაიმყარონ საბაზრო პოზიციები სავაჭრო გამოფენებზე დასწრებით და მომხმარებელთან გრძელვადიანი კავშირების დამყარებით.

დამაბინძურებლებისგან განმედიის თვალსაზრისით, დაფუძელი სახით წარმოდგენილი პროდუქციის გასუფთავება უფრო მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მთლიანი ფორმით იმპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით.


იქიდან გამომდინარე, რომ ევროპელი მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს გადამუშავებულ პროდუქციას, დაქუცმაცებული/დაფუძელი სანელებლების ბაზარი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად ფართოვდება. 2014 წელს განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტირებული ბეგქონდარას 44% დაქუცმაცებული/დაფუძელი სახით იყო წარმოდგენილი. მოსალოდნელია, რომ წარმოშობის ქვეყანაშივე გადამუშავებული პროდუქციის მიწოდების ტენდენცია გაგრძელდება და უფრო მეტ მასშტაბს შეიძენს.

რეკომენდაცია:

დაქუცმაცებული/დაფუძელი ხმელი ბალახოვანი სანელებლების ბაზრის სპეციფიკა განსხვავდება კონკრეტული პროდუქციის მიხედვით. მაგალითად, დაფნის ფოთლის მხოლოდ მცირე ნაწილი იყიდება დაქუცმაცებული სახით. გარდა ამისა, საჭიროა მიღწეული იქნას მასშტაბის გარკვეული უფექტი. ტროპიკული მცენარეების შემთხვევაშიც, უმჯობესია მიმწოდებლებმა საწყის ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე გაიმყარონ თავიანთი პოზიციები და უკვე შემდგომ დაიწყონ პროდუქციის ექსპორტი.

მცირე მიმწოდებლები, რომლებიც ამარაგებენ ევროკავშირის ბაზარს გადამუშავებული ბალახოვანი სანელებლებით, უფრო და უფრო დიდ წარმატებას აღწევენ. ევროკავშირიდან ტერიტორიულად დაშორებულმა, მცირე მასშტაბის მწარმოებლებმა, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს მდგომარეობა: მაგალითად, პერუ და კენია 2010 წლამდე საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილი ევროკავშირს ბაზარზე, მაშინ როდესაც 2014 წელს, მათ მიერ ბალახოვანი სანელებლების ექსპორტმა ევროკავშირში შესაბამისად, 5,4 და 2,3 ტონა შეადგინა.

დიაგრამა 5: განვითარებადი ქვეყნებიდან დაფნის ფოთლისა და ბეგქონდარას იმპორტი ევროკავშირში, 2014 წელი



რეკომენდაცია:

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ბაზარი ერთიანია, მის ცალკეულ რეგიონებსა და წევრ ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს თქვენს საექსპორტო სტრატეგიაში. აუცილებელია სტატისტიკური ანალიზის ჩატარება ამ განსხვავებების შესასწავლად. ყურადღება გამახვილებული უნდა იქნეს შემდეგ ასპექტებზე:

იმპორტის მოცულობა - გვიჩვენებს, ევროკავშირის რომელი ქვეყნებია ყველაზე მსხვილი მყიდველები ან მოვაჭრეები. სანელებელი მცენარეების იმპორტის ნიშნული ყველაზე მაღალია ევროკავშირის დასავლეთ რეგიონში (ევროპის მთლიანი იმპორტის 68% 2014 წელს). ასევე უნდა შეისწავლოთ ექსპორტი და დაადგინოთ მოცემული ქვეყანა სანელებლების იმპორტს რა მიზნით ახორციელებს - შიდა მოხმარებისთვის, თუ შემდგომი გადამუშავების ან/და რექესპორტის მიზნით.

განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის პროცენტული ოდენობა და ზრდის მაჩვენებელი - გვიჩვენებს ახდენს თუ არა მოცემული ქვეყანა სანელებლების იმპორტს ძირითადად განვითარებადი ქვეყნებიდან, თუ ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდანაც შემოაქვს აღნიშნული პროდუქცია. ყურადღება გამახვილეთ იმ ქვეყნებზე, რომლებშიც განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის წილი მაღალი ან სტაბილურად მზარდია. როგორც მე-3 დიაგრამაზეა ნაჩვენები, ზოგიერთი ქვეყანა (მაგ. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები) ამ თვალსაზრისით უფრო მეტადაა დამოკიდებული ევროპის სხვა ქვეყნებიდან იმპორტზე და არც ცდილობს ალტერნატიული წყაროების მოძიებას.

თქვენი ქვეყნიდან განხორციელებული იმპორტის მოცულობა და ზრდის ტემპი - იმ მიზეზებს შორის, თუ რატომ ანიჭებენ ევროკავშირის ქვეყნები უპირატესობას კონკრეტული ქვეყნიდან იმპორტს, აღსანიშნავია მომხმარებლის გემოვნება, გადამამუშავებელი მრეწველობის


არსებობა მყიდველ ქვეყანაში, სურსათის უვნებლობის უაღრესად მკაცრი მოთხოვნები, ისტორიული სავაჭრო კავშირები. მაგალითად, ესპანეთს, სანელებელი მცენარეების დიდი ნაწილი მაროკოდან შემოაქვს ისტორიული კავშირების და გეოგრაფიული სიახლოვის გამო.

ფასი - სანელებელი მცენარეების ფასები განსხვავებულია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ფასებს ძირითადად განსაზღვრავს ხარისხი და სურსათის უვნებლობის უაღრესად მკაცრ მოთხოვნებთან შესაბამისობა. ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, როგორც წესი, ყველაზე მკაცრი მოთხოვნები აქვთ პროდუქციის ხარისხსა და უვნებლობასთან მიმართებით და შესაბამისად, ფასებიც ამ რეგიონში ყველაზე მაღალია. ფასს ასევე განსაზღვრავს მიწოდების ჯაჭვის სპეციფიკა. ის ქვეყნები, რომლებიც დამოკიდებული არიან ევროკავშირის სხვა ქვეყნებზე მიწოდების და/ან გადამამუშავების თვალსაზრისით, იხდიან მარჯას დამატებითი ღირებულების შექმნისთვის და/ან მომსახურებისთვის.

შექმენით უფასო გვერდი სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებისთვის, რომლებსაც ამზადებს Eurostat და ITC. თქვენი სტატისტიკური ანალიზი შეავსეთ თქვენი ბიზნესის მდგომარეობის ანალიზით (მასშტაბი, წარმოების ორგანიზების დონე, პროდუქტი, მაგალითად მასობრივი თუ ნიშური, სურსათის უვნებლობის მკაცრი მოთხოვნების და მდგრადი განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარი) მყიდველთან სტრატეგიული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ექსპორტი

დიაგრამა 6: ევროკავშირიდან დაფნის ფოთლებისა და ბეჭონდარას ექსპორტი, დანიშნულების კატეგორიის მიხედვით, 2010-2014 წლები




მნიშვნელოვანი მონაცემები

2014 წელს ევროკავშირში ექსპორტირებული ბეჭონდარას და დაფნის ფოთლის მოცულობამ 6,6 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო ღირებულებამ - 30 მილიონი ევრო. ექსპორტის მოცულობის საშუალო ზრდა 2010-2014 წლებში 6,7%-ს შეადგენდა. ეს ძირითადად განპირობებული იყო ექსპორტის ზრდით (+10% წელიწადში) ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომლებშიც ადრე არ ხორციელდებოდა ექსპორტი.

2014 წელს ევროკავშირის ექსპორტის მთლიანი მოცულობის 72%-ს შეადგენდა ევროკავშირის შიდა ბაზარზე განხორციელებული ექსპორტი. პოლონეთი უმსხვილესი ექსპორტიორია (მთლიანი ექსპორტირებული მოცულობის 46%). მას მოსდევს ესპანეთი (18%) და გერმანია (14%).



დიაგრამა 7: ევროკავშირიდან დაფნის ფოთლისა და ბეჭონდარას ექსპორტი, ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2014 წელი



ევროკავშირის ქვეყნებში პროდუქციის მიწოდების გამოცდილების მქონე ექსპორტიორებმა (რომლებიც ოპერირებენ ევროკავშირის ბაზრის ფარგლებში) შეიძლება გაზარდონ თავიანთი პროდუქციის გაყიდვების მოცულობა იმ მყიდველების ხარჯზე, რომლებიც დამოკიდებული არიან ევროკავშირის მიმწოდებლებზე, რაც განაპირობებს როგორც მოგების მარჯის, ასევე ფასების ზრდას. ევროკავშირის ქვეყნების მიერ სხვა წევრ ქვეყნებში ექსპორტირებული დაქუცმაცებული და დაფქული ბეჭონდარას ღირებულება ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში წარმოებული.

კროდუქცია

ცხრილი 1: მშვანილის წარმოება

	კროდუქცია	ევროკავშირი	ევროპის სხვა ქვეყნები	აფრიკა	ამერიკა	აზია	ოკეანეთი
	ბაზილიკო	საფრანგეთ, გერმანია, ბელგია, უნგრეთი და ხმელთაშუა ზღვის სხვა ქვეყნები		ეგვიპტე	აშშ	შუა აღმოსავლეთი	
	დაფნის ფოთოლი	ევროკავშირი	თურქეთი		აშშ	არაბეთის ქვეყნები	
	ნიახურის ფოთლები	ევროკავშირი		ჩრდილოეთ აფრიკა		ინდოეთი, ჩინეთი	
	ქინძი	აღმოსავლეთ ევროკავშირის ქვეყნები, საფრანგეთი	რუსეთი	ეგვიპტე, მაროკო	ცენტრალური ამერიკა და აშშ		
	კამა	დიდი ბრიტანეთი, გერმანია, რუმინეთი (ევროპული კამა), დიდი ბრიტანეთი, გერმანია	თურქეთი, რუსეთი (ევროპული კამა)		აშშ (ევროპული კამა)	ინდოეთი (ინდური კამა)	
	ცერეცო	ევროკავშირი				მცირე აზია ინდოეთი	
	მარტორამი	ევროკავშირი	რუსეთი	ჩრდილოეთ აფრიკა	აშშ	ინდოეთი, ჩინეთი	
	ორეგანო	ევროკავშირის წევრი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები	თურქეთი		მექსიკა, ღომენიველთა რესპუბლიკა		
	ოხრახუმი	ევროკავშირის წევრი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები გერმანია, ბელგია	ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები		მექსიკა, აშშ, კანადა, ღომენიველთა რესპუბლიკა, ჰაიტი		
	როზმარინი	ევროკავშირი	თურქეთი, რუსეთი, სერბეთი	ჩრდილოეთ აფრიკა	აშშ	ინდოეთი	
	სალბი	ევროკავშირის წევრი სამხრეთ ქვეყნები	ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები თურქეთი		კანადა, აშშ	ინდოეთი	
	ქონდარი	ევროკავშირის სამხრეთი ნაწილი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო			კანადა, აშშ	ინდოეთი	
	ტარხუნა	სამხრეთ ევროპა	რუსეთი		აშშ	დასავლეთ აზია ინდოეთი, ავღანეთი	
	თაიმი	ესპანეთი იტალია	ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები	ჩრდილოეთ აფრიკა	კანადა, აშშ	ჩრდილოეთ აზია ინდოეთი	ავსტრალია

წყარო: ინდოეთის სანელებლების საბჭო, 2014

განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტები

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ევროკავშირში პოპულარული სანელებლების გარკვეული ნაწილი თავად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ინარჩუნდება. აღნიშნული პროდუქციის დიდი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე გამოიყენება ცოცხალი ბალახეულის სახით.

რეკომენდაცია:

Nedspice რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშს (crop report), სასოფლო-სამეურნეო კულტურების დეპარტამენტის ინგრედიენტების შესახებ, თუმცა Nedspice სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ანგარიშებში მწვანე ხილის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ მწიკია. აქედან გამომდინარე, თქვენი კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის საუკეთესო გზა მსხვილ მიწნობებზე გასაუბრება და მათთან კავშირების დამყარებაა.

მაღალი ტემპერატურისგან დაცვის მიზნით, ბალახოვანი სანელებლების გადამუშავების პროცესში, ფართოდ გამოიყენება ეგრეთ წოდებული ორთქლით სტერილიზაცია. მაღალი ტემპერატურისგან დაცვის ღონისძიებების გატარება უფრო და უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნა ხდება. დღეისათვის, ევროპელი მწარმოებლები მაღალი ტემპერატურისგან დაცვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ.

რეკომენდაცია:

გამოიკვილიეთ ევროპელ მწარმოებლებთან, განსაკუთრებით მსხვილ კომპანიებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები, აგრეთვე, მოიძიეთ რესურსები, რომლითაც მოახდენთ წარმოებაში ინვესტირებას. ევროკავშირის მწარმოებლების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევროკავშირის ეროვნული სანელებლების ასოციაციის წევრთა ნუსხაში. (ევროპის სანელებელთა ასოციაცია (European Spice Association (ESA))

მოხმარება

ევროკავშირში ბალახოვანი სანელებლებისა და სხვა მცენარეული პროდუქციის მოხმარების სტატისტიკა არ არის მარტივად ხელმისაწვდომი. ინდუსტრიის ექსპერტები აცხადებენ, რომ ეკონომიკურ კრიზისს არ მოუხდენია დიდი გავლენა პროდუქციის მოთხოვნაზე. ეს აგრეთვე ნათლად ჩანს N1 და N2 დიაგრამებიდანაც, რომლებიც ასახავენ დაფნის ფოთლისა და ბეგქონდარას იმპორტის ტენდენციებს.

ევროკავშირის ქვეყნებში, ადგილობრივი სამზარეულოები იყენებენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში წარმოებულ დიდი რაოდენობით ბალახოვან სანელებლებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დაფნა, მარჯორამი, ორეგანო, რომმარინი, ქონდარი, ბეგქონდარა და ოხრახუმი. მათი უმეტესობა იმრდება ზომიერი კლიმატის პირობებში. უცხოელი იმიგრანტების ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, მოხმარებელი სულ უფრო მეტად ინტერესდება ეგზოტიკური და უცხო საკვებით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ფართოვდება მოთხოვნილი ბალახოვანი სანელებლების და მცენარეული პროდუქციის ნუსხაც.

ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში, საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, ესპანეთსა და იტალიაში ხმელი ბალახოვანი სანელებლების გამოყენების დაბალი ტენდენციაა. ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში კერძების მომზადებისას უმეტესად გამოიყენება ცოცხალი მწვანე ხილი და შედარებით ნაკლებად ვხვდებით სანელებლებით შემავებულ კერძებს, რომლებიც საკვების დანამატს წარმოადგენს და განსხვავებულ გემოს და არომატს ანიჭებს მას.

მოხმარების დიდ ნაწილს განსამდგრავს საკვების მწარმოებელი ინდუსტრიის მოთხოვნა - (მთლიანი მოთხოვნის 70-80%). ევროკავშირის ბაზარი ხასიათდება მცენარეულ ჩაიზე მზარდი მოთხოვნით. ეს ნაწილობრივ გამომდინარეობს ჯანმრთელობის პრობლემებიდან, რომელიც ყავისა და ჩაის სახით კოფეინის გადაჭარბებული დოზით მიღებასთანაა დაკავშირებული. მცენარეული ჩაის ბაზარი საინტერესო შესაძლებლობებს იძლევა ისეთი ბალახოვანი სანელებლების მწარმოებელთათვის, როგორებიცაა გვირილა, კამა, ჰიბისკუსი, პიტნა, რომზმარინი, სალბი და თაიმი.

რეკომენდაცია:

როდესაც აქცენტს ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე აკეთებთ, ყოველთვის გაითვალისწინეთ, რომ მომხმარებლის მოთხოვნები შესაძლოა განსხვავებული იყოს. როგორც მინიმუმ, თქვენი პროდუქცია შესაბამისობაში უნდა იყოს ევროპის სანელებელთა ასოციაციის (ESA) მინიმალური ხარისხის დოკუმენტის მოთხოვნებთან. თუმცა, საცალო მოვაჭრეთაგან განსხვავებით, საკვების მწარმოებლები ყოველთვის არ მოითხოვენ ორთქლით სტერილიზაციის საშუალებით დამუშავებულ პროდუქტს. დაუკავშირდით მომხმარებელს და სთხოვეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოგაწოდონ თავიანთი მოთხოვნები, რათა წინასწარ გაეცნოთ, თუ რა მოთხოვნებს და ხარისხის რომელ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს თქვენი პროდუქცია.

დასავლეთ ევროკავშირის ბაზარზე 2020 წლამდე მოსალოდნელია საკვებსა და სასმელზე მოთხოვნის სტაბილიზაცია. მოთხოვნის ზრდა მოსალოდნელია აღმოსავლეთ ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც საკვების მთლიანი მოხმარება 2021 წლამდე 31%-ით გაიზრდება 2000 წელს არსებულ დონესთან შედარებით. (წყარო: Deloitte, 2012). აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია ბალახეულ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა არა მხოლოდ საშუალოვადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც.

რეკომენდაცია:

შეაშონშეთ ევროპული კომისიის მიერ გამოქვეყნებული წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური პროგნოზი (economic member state forecast), რათა განსაზღვროთ რომელი ქვეყნები გთავაზობენ მიმზიდველ ეკონომიკურ კლიმატს მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

ბაზრის ძრენდები

უფრო ზანსადი მცენარეული პროდუქცია:

ხმელ ბალახოვან სანელებლებს ძალიან ბევრი სამკურნალო თვისება გააჩნიათ და ისინი ხშირად გამოიყენება მედიცინაში. ეს ბაზარი უფრო მკაცრად რეგულირდება კულინარიული საკვების ბაზართან შედარებით. აქედან გამომდინარე, იზრდება მოთხოვნა ისეთ მცენარეულ პროდუქციაზე, რომელთაც გააჩნია ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებები და რომელთაც იყენებენ სამკურნალო დანიშნულებით. სამკურნალო მცენარეების ბაზარი ძალზე საინტერესოა, რადგან ამ შემთხვევაში მომხმარებელი უფრო მეტად ორიენტირებულია პროდუქციის ხარისხზე და არა მის ფასზე. სამკურნალო მცენარეების მოყვანა ძირითადად ხდება სელექციური სათესლე მასალის გამოყენებით.

რეკომენდაცია:

მცირე მასშტაბის მწარმოებლებს, რომელთაც აქვთ მებღაუღელი ფინანსური რესურსი, მოუწევთ გამოიხონ პრობლემის ალტერნატიული გადაჭრის გზა. ისინი საჭიროა დაუკავშირდნენ პროდუქციის სტერილიზაციის ადგილობრივ კომპანიებს, რომლებიც მათ გაუწევენ საჭირო მომსახურებას.

ორთქლით სტერილიზაცია ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც სურსათის უვნებლობის სტანდარტები გათვალისწინებულია შრობის, დასაწყობების და გადაამუშავების (მაგ.: გაფილტვრა, შერევა, დაქუცმაცება/დაფქვა), შეფუთვისა და ტრანსპორტირების ეტაპებზე. თავიდან უნდა იქნეს არიდებული სტერილიზაციის შემდგომი დაბინძურების საფრთხე. მიკოტოქსინები და სხვა დამაბინძურებლები შეუმჩნეველია სტერილიზაციის ეტაპზე და ამისათვის უნდა გაკონტროლდეს წარმოების ჯაჭვის ყველა რგოლზე.

სანამ გადაწყვეტთ აღნიშნული მეთოდით გადაამუშავებული პროდუქციის ბაზარზე გატანას, დარწმუნდით მოითხოვს თუ არა თქვენი პოტენციური მყიდველი ორთქლით სტერილიზაციას.

მიიღეთ უახლესი ინფორმაცია ორთქლით სტერილიზაციის მეთოდების შემუშავებასთან დაკავშირებით: GreenFoodDec.

ორთქლით სტერილიზაცია

ევროპელი მომხმარებელი უფრო და უფრო მეტად ითხოვს ორთქლით სტერილიზაციის გზით გადამუშავებულ მცენარეულ პროდუქციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიქსტურების ბაზრისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ შედარებით რთულია მიკრობიოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრა დაქუცმაცებული ან დაფქული პროდუქციის შემთხვევაში. შესაძლოა ითქვას, რომ ის მიმწოდებლები, რომლებიც პროდუქციის გადამუშავებას ორთქლით სტერილიზაციის გზით ახდენენ, ფლობენ დამატებით კონკურენტულ უპირატესობას. სტერილიზაციის დანადგარებში ინვესტირება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული (1 მილიონ ევრომდე). ორთქლით სტერილიზაციის უარყოფით მხარედ განიხილება ის ფაქტორი, რომ იგი ნეგატიურ გავლენას ახდენს აქროლალი ცხიმის შემცველობაზე, რაც განსაზღვრავს პროდუქციის არომატს და გემურ თვისებებს. ევროკავშირის ბაზარზე მომხმარებელი ავლენს სურვილს გადაერთოს სხვა მეთოდებით გადამუშავებულ პროდუქციაზე, თუკი პროდუქციის ხარისხი, გადამუშავების მეთოდები და ფასი იქნება მისთვის მისაღები და ხელმისაწვდომი. ამ დროისთვის არ არსებობს ორთქლით სტერილიზაციის ისეთი ალტერნატივა, რომელიც აკმაყოფილებს ყველა ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნას, თუმცა, დარგის მასშტაბით აქტიურად ხორციელდება კვლევები ამ მიმართულებით.

მცენარეთა გაყინვა

გაყინვით შრობა (სუბლიმაციის მეთოდი) არის ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება მცენარეთა შენახვის მიზნით. აღნიშნულ ტექნოლოგიას ფართოდ იყენებენ ისეთი მსხვილი კომპანოები, როგორებიცაა HerbaFrost (ბელგია), Frosta (გერმანია) და Euroma (ჰოლანდია). ისინი ბაზარს ამარაგებენ სუბლიმირებული ბალახეულით, რომელიც გამოიყენება კვების ინდუსტრიაში და აგრეთვე, პირდაპირი გზით ყოდიან მომხმარებლებზე საცალო მაღაზიებში. ისინი მცენარეებს აწარმოებენ როგორც ადგილობრივად, აგრეთვე საერთაშორისო მასშტაბით. მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება არის ინდივიდუალური სწრაფი გაყინვის ტექნოლოგიით დამუშავება. ამ ტექნოლოგიით დამუშავებული მცენარეების ბაზარი მზარდია. მაგალითად, HerbaFrost კომპანია ახდენს მცენარეების ცოცხალი მახასიათებლების შერწყმას გადამუშავებული ბალახოვანი საწარმოების გამოყენების ხანგრძლივობის მოთხოვნებთან. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, პროდუქცია სერიოზულ კონკურენციას უწევს გადამუშავებული ბალახეულის მწარმოებლებს. ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია ცოცხალ მცენარეულ პროდუქციას, რომელიც მარტივი და მოსახერხებელია გამოსაყენებლად.

რეკომენდაცია:

გაყინვით შრობა (სუბლიმაციის მეთოდი) საკმაოდ ძვირადღირებული ტექნოლოგიაა ინვესტიციის განსახორციელებლად. მცირე მასშტაბის საწარმოებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი და ამიტომ მათ უწევთ ისეთ კომპანიებთან თანამშრომლობა, რომლებიც გაუწევენ აღნიშნულ მომსახურებას ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე.

მდგრადი განვითარების სტანდარტებთან შესაბამისობის ზრდა:

მდგრადი განვითარების სტანდარტებთან შესაბამისობა წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ტრენდს ევროკავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიასა და გერმანიაში. წარმოების ჯაჭვში მთავარი ასპექტებია: პესტიციდების სწორი გამოყენება, ბავშვთა შრომის გამოყენება, მუშახელის ჯანდაცვა, უსაფრთხო სამუშაო პირობები და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკები. როგორც მიმწოდებელი, თქვენ უნდა აკმაყოფილებდეთ მომხმარებლის მიერ დაწესებულ მდგრადი განვითარების სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების სტანდარტებით მოყვანილი მცენარეები შედიან ნიშურ ბაზარზე, იზრდება მოთხოვნა სერტიფიცირებულ პროდუქციაზე, რომლის შემთხვევაშიც ხდება მდგრადი განვითარების სტანდარტებთან შესაბამისობის ოფიციალური დადასტურება. სერტიფიცირებული ბალახეულის მთავარ გამოწვევად რჩება მისი მაღალი ფასი, რომლითაც ნაწილობრივ ან სრულად ხდება სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯის კომპენსირება. მესამე მხარის მიერ სერტიფიცირების ხარჯების დაფარვა ჯერ კიდევ განხილვის ეტაპზეა. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მომავალში, ევროკავშირის ძირითად ბაზრებზე შესაძლოა სერტიფიცირების პირისპირ უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული თვითმფასების მეთოდი.

კონკურენცია ანალიზი და ინტერპრეტაცია

ბაზარზე შესვლა: ახალი მოთამაშეები

მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის უდიდეს წილს ფლობენ მსხვილი მწარმოებლები, იზრდება წვრილი მიმწოდებლების რიცხვი, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებიდან ახდენენ ექსპორტს. აღნიშნული ტენდენცია ვრცელდება გადაამუშავებული ბალახეული სანელებლების ბაზარზეც. მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განვითარებად ქვეყნებში შედარებით დაბალია მუშახელის ფასი.

პროდუქციის უმცველები:

ხმელი ბალახეული სანელებლების ალტერნატივას ცოცხალი ან გაყინული მცენარეული პროდუქცია წარმოადგენს. ასეთ ალტერნატივაზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით მაღალია ევროკავშირის სამხრეთ ქვეყნებში. სპეციფიკური პროდუქცია, როგორებიცაა ჩაი, მწვანილი შესაძლოა ჩაანაცვლოს სხვა ინგრედიენტებმა. (მაგალითად, სხვადასხვა სახის ჩირი)

კომპანიების კონკურენცია

კონკურენციის ხარისხი: კონკურენციის დონე


ევროკავშირის ბაზარზე ძალზე მაღალია კონკურენციის დონე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ან/და იმ ქვეყნების მწარმოებლების მხრიდან, რომლებიც ევროკავშირის ზონასთან ახლოს მდებარეობენ. ტროპიკული ბალახოვანი სანელებლების შემთხვევაში, ევროკავშირის ბაზარზე კონკურენციის ხარისხი შედარებით დაბალია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბაზრის მოცულობაც მნიშვნელოვნად მცირეა.

მომხმარებლის ძალა:

ევროკავშირის მომხმარებლების სეგმენტს ქმნიან როგორც მსხვილი კომპანიები (მაგ.: იმპორტიორები, მწარმოებლები, დამფასებლები), აგრეთვე მცირე მასშტაბის ორგანიზაციები, რომლებიც ბალახეული პროდუქციის შესყიდვაზე არიან სპეციალიზებული. მათი უმეტესობა პროდუქციით ამარაგებს მსხვილ მომხმარებელს, როგორებიცაა ჩაის მწარმოებლები, კვების ინდუსტრიის წამყვანი კომპანიები, ან საცალო მოვაჭრეები, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი საბაზრო ძალაუფლება, რათა ზეგავლენა მოახდინონ პროდუქციის ფასებზე. მსხვილი მყიდველები, ისეთები როგორიცაა მაგალითად, Unilever, ან პირდაპირი წესით შეისყიდიან ნედლეულს ან ახდენენ მწარმოებელი ქვეყნების სუბსიდირებას. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის მათ სამომხმარებლო ძალას ბაზარზე.

ფასნარმოქმნის სქემა

დიაგრამა 9: ბალახოვანი სანელებლების ფასნარმოქმნის სქემა



გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ზედა დიაგრამაზე მოცემული ბალახეულის ფასების სტრუქტურა პირობითია. მასზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, როგორცაა წარმოშობის ქვეყანა, მიმდინარე, და მომავალში, მოსავლის ალების დროს ნავარაუდები სიტუაცია, ნედლეულის ხარისხი, გადამუშავების დონე, მოთხოვნის დონე და ფასების ტრენდი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი საკმაოდ ართულებს ფასების დეტალურ განსაზღვრას თითოეულ ეტაპზე.

წყარო: CREM, 2015

ცხრილი 2:

სანელებლების გასაყიდი ფასები

პროდუქცია	ივკორტის/საბითუმო ფასი ერთ კილოგრამზე*	საცალო ფასი ერთ კილოგრამზე
დაფნა	€ 6,07 (US \$ 7,57)	€ 220 - 490
ბეგქონდარა	€ 2,81 (US \$ 3,51)	€ 100 - 140
ორეგანო	€ 4,03 (US \$ 5,03)	€ 150
თხრახუმი	€ 4,95 (US \$ 6,18)	€ 220 - 300
ბაზილიკო	€ 2,93 (US \$ 3,66)	€ 100 - 220

*ფასები აშშ დოლარიდან ევროში კონვერტირებულია გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი = € 0,8016

წყარო: Market Insider ITC (ივკორტი/საბითუმო ფასები, ნოემბერი 2014) Albert Heijn (საცალო ფასები)

ცხრილი 2-დან ნათლად ჩანს, რომ იმპორტის/საბითუმო და სა-ცალო ფასები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ამის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პროდუქცია ძირითადად იყიდება მცირე საცალო შეფუთვით (4-15 გრა-მიანი). გარდა ამისა, საცალო მოვაჭრეები განსაკუთრებულ ყუ-რადლებას აქცევენ შეფუთვას, ბრენდირებას, მარკეტინგულ ინსტრუმენტებს და ტრანსპორტირების ფორმას.

რეკომენდაცია:

მოგიერთი მწვანელობის (მაგ.: კამა, ცერეცო, ქინძი) ფასი შეგიძლია იხილოთ - ITC-ის სექციაში - Market Insider

რეკომენდაცია:

გამოიყენეთ ვალუტის გაცვლითი კურსები, რომლებიც მოცემულია Oanda-ს ვებ-გვერდზე

სასარგებლო საინფორმაციო წყაროები:

- ▶ ევროპის სანელებლების ასოციაცია - <http://www.esa-spices.org> - იძლევა ინფორმაციას მასში შემავალი ეროვნული სანელებელთა ასოციაციების შესახებ.
- ▶ ევროპის საკვები ინგრედიენტები - <http://www.foodingredientsglobal.com>- მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გამოფენა საკვები ინგრედიენტებისა და ჯანდაცვის სექტორისთვის ევროპაში
- ▶ SIAL - <http://www.sialparis.com> - მსხვილი საერთაშორისო სავაჭრო გამოფენა, რომელიც ყოველწლიურად იმართება საფრანგეთში
- ▶ Biofach - <http://www.biofach.de> - ორგანული საკვების უდიდესი საერთაშორისო გამოფენა, რომელიც იმართება გერმანიაში